დანართი 1

„დამტკიცებულია“

2020 წლის 27 მარტი

N02-09/51 ბრძანებით

კონკურსი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

აცხადებს კონკურსს ახალი ამბების სამსახურში, სამსახურის უფროსის ვაკანტურ პოზიციაზე

კ ო ნ კ უ რ ს ი ს პოზიციის სრული დასახელება: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურის უფროსი

ვაკანსიის ოდენობა: ერთი

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

სამუშაო ადგილი: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის N41

შრომის ანაზღაურება: 2850 ლარი;

სამუშაოს აღწერილობა:

სამსახურის უფროსის შრომით მოვალეობაში შედის ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის პროგრამების მომზადების მიზნით:

- სარედაქციო და საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა და განხორციელება;
- სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო გრაფიკების შემუშავება;
- საჭიროების შემთხვევაში რედაქტორის, ან პროდიუსერის ფუნქციების შესრულება;
- თემების გამოვლენა, ანალიზი, მათი შერჩევა და შესაბამისი გადანაწილება რედაქტორებს შორის;
- საჭიროების შემთხვევაში თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიებაში რედაქტორებისა და რეპორტიორების მხარდაჭერა;
- გადანაწილებული თემების პროგრამებში სრულად ასახვის ზედამხედველობა;
- სასცენარო გეგმების შემუშავება, სცენარის განვითარების საჭიროების გამოვლენა;
- სარედაქციო მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით მომზადების მეთვალყურეობა;
- რესპონდენტების შერჩევაში მონაწილეობა;
- შინაარსის მიხედვით გამოშვებების დროულად, ვადებში მომზადების უზრუნველყოფა და პრობლემების შემთხვევაში მათზე ოპერატიული რეაგირების ღონისძიებების გატარება;

- ობიექტურობის, დაბალანსებულობისა და ეთიკის ნორმების დაცვა, დარღვევის საფრთხეების წინასწარ შეფასება, დარღვევის შემთხვევების გამოვლენა;

- შინაარსის, პროფესიონალიზმის, ხარისხის განვითარების საჭიროებების გამოვლენა;

- საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა და სამუშაო პროცესის სწორად წარმართვის უზრუნველყოფა, წარმოების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებსა და ხარვეზებზე ოპერატიული რეაგირება;

- გადაცემების გაუმჯობესების მიზნით იდეების გენერაციის პროცესის ორგანიზება;

- თემატიკის განხილვა და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა;

- ახალი ამბების სამსახურში დასაქმებულთა სამსახურებრივი საქმიანობის კონტროლი;

- მაუწყებლის დირექტორის მითითებების (გარდა სარედაქციო ხასიათისა) შესრულება.

ძირითადი მოთხოვნები
- უმაღლესი განათლება;
- საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერად ან რედაქტორად მუშაობის მინიმუმ 3 (სამი) წლიანი გამოცდილება;
- საინფორმაციო სამსახურის მედიაკონტენტის შექმნის გამოცდილება;

უნარები

- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
-ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;

- ექსტრემალურ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- კომუნიკაბელურობა;
- პრეზენტაბელურობა;
- ენერგიულობა;

დამატებითი უნარები:

- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

- უცხო ენ(ებ)ის ცოდნა (სასურველია).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ
- განცხადება;
- (CV);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ფოტოსურათი;
- სამოტივაციო წერილი;
- დიპლომისა და კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლები;
- სამუშაო გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი დოკუმენტები;

კონკურსის ეტაპები

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად.
პირველ ეტაპზე კომისია გადაარჩევს კანდიდატების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და დაუკავშირდება მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გადასულ კონკურსანტებს;
მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

განაცხადები განიხილება სპეციალური კომისიის მიერ ქულათა სისტემით. განაცხადები მიიღება 2020 წლის 27 მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით ელექტრონულად (HR@ajaratv.ge).

გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადა: 2020 წლის 28 აპრილი .

შენიშვნა:

1. დაინტერესებულმა პირმა გამოგზავნილი ელ-ფოსტის სათაურში (subject) უნდა მიუთითოს სასურველი ვაკანტური პოზიციის დასახელება;

2. კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის განაცხადების რეგისტრაციის შესახებ) დაინტერესებულ პირს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

საკონტაქტო პირი: ნათია გოგიჩაიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: 577283151

საკონტაქტო ელ-ფოსტა: HR@ajaratv.ge